ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5763257

ნომერი: AR1867942

თარიღი : 15.12.2021

გაცემის თარიღი : 17.01.2022

გაცნობის თარიღი : 17.01.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა N16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კარლო მშვიდობაძე პ/ნ 62001038592
- სოხუმი ძიძარიას ქ. N 18

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ბანკომატის განთავსება რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

საჯარო რეესტრის მონაცემებით 01.12.02.018.002.05.03.001 და 01.12.02.018.002.02.03.001 რეგისტრირებული ფართები დამოუკიდებელია და ორივე რეგისტრაცია მოქმედია, მოხდა თუ არა რომელიმე ფართის გამიჯვნა და მიღებულია თუ არა ერთი ფართი მეორისაგან ეს საჯარო რეესტრის მონაცემებით არ დასტურდება და ასევე არც თქვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით. თუ 01.12.02.018.002.05.03.001 კოდით რეგისტრირებული ფართისგან მიღებულია 01.12.02.018.002.02.03.001 წარმოადგინეთ შესაბამისი დოკუმენტაცია და რუკაზე ახალი ფართის ამონაწერი მონიშნეთ. თუ საპროექტო ფართი 01.12.02.018.002.02.03.001 კოდით არის რეგისტრირებული ასეთ შემთხვევაში ფართის მესაკუთრის და ფართის მოსარგებლის თანხმობა წარმოადგინეთ აღნიშნული კოდით რეგისტრირებულ ფართზე ბანკომატის მოწყობაზე და შესაბამისად რუკაზე სწორად მიუთითეთ საპროექტო ფართი.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.